

წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და

ქვეპროგრამების შესახებ

სსიპ - საქართველოს ზავშეთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი (32080201)

(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზავშეთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:

ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის ღონისძიებები (32080201)

პროგრამის განმახორციელებელი სსიპ - საქართველოს ზავშეთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი

| პროგრამის კოდი | დასახელება | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული მოცულობა | წლიური საკასო შესრულება | საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში | საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|----------------|---|--|---|-------------------------|--|---|
| 32080201-01 | პროგრამა: აპარატის ხარჯი | 397.5 | 365.0 | 364.9 | 99.97% | 0 |
| 32080201-02 | პროგრამა: ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის ღონისძიებები | 297.5 | 735.0 | 734.1 | 99.88% | 0 |

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

2017 წელს ზავშეთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით ჩატარებული კონკურსის ფარგლებში დაფინანსებულია 39 პროექტი:

1. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდული ეკო სოფელი“, პროექტი - „ა.ი.პ. „ახალგაზრდული ეკო სოფლის“ საბანაკე ტერიტორიის განვითარება“, თანხა - 24225-00 ლარი;
2. ა.(ა).ი.პ „სტუდია ზაო“, პროექტი - „სიმართლის გუდა“ მსოფლიო ხალხთა ანდაზები ანიმაციაში“, თანხა - 20000-00 ლარი;
3. ა.(ა).ი.პ „სტუდენტური ერთიანობა“, პროექტი - „შემოსე თანამოქალაქე“, თანხა - 14738 ლარი და 50 თეთრი;
4. ა.(ა).ი.პ „ლაშქრობა“, პროექტი - „ვიდეო ლექციები სალაშქრო თემაზე“, თანხა - 19960-00 ლარი;
5. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდები სამეგრელოს განვითარებისთვის“, პროექტი - „სოციალური საწარმო „მეგო-ბარი“, თანხა - 19715-00 ლარი;
6. ა.(ა).ი.პ „სამოქალაქო აქტივობების ცენტრი“, პროექტი - „პანკისში, თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში ტურიზმის განვითარებაში ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა“, თანხა - 19850-00 ლარი;
7. ა.(ა).ი.პ „წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი“, პროექტი - „ტრადიციული ხელობების შემსწავლელი ცენტრის გაფართოვება და ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა რეწვის პროდუქციის განვითარების გზით ქარელის რ-ნის შშმ პირებისა და ახალგაზრდების ეკონომიური გაძლიერებისათვის“, თანხა - 12625-00 ლარი;
8. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდების ინტეგრაციის, განათლების და კულტურული განვითარების ასოციაცია“, პროექტი - „ქალაქი ბიბლიოთეკა - საგანმანათლებლო ლიტერატურული ტურები“, თანხა - 19165-00 ლარი;
9. ა.(ა).ი.პ „ყაზბეგის განვითარების ჯგუფი - ყაზბეგის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი“, პროექტი - „ყაზბეგის ახალგაზრდული მეწარმეობის სკოლა“, თანხა - 19228-00 ლარი;
10. ა.(ა).ი.პ „ჰელოუ ჯოი“, პროექტი - „სოციალური საწარმო Hello Joe“, თანხა - 19480-00 ლარი;
11. ა.(ა).ი.პ „ხევსური ქალები ჯანსაღი მომავლისათვის“, პროექტი - „ახალგაზრდული ცენტრი ხევსურეთში“, თანხა - 18772 ლარი და 54 თეთრი;
12. ა.(ა).ი.პ „უკეთესი მომავლისათვის“, პროექტი - „წეროვანის დევნილი ახალგაზრდების პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა“, თანხა - 19960-00 ლარი;
13. ა.(ა).ი.პ „ხვამლის ამქარი“, პროექტი - „ხვამლის მთის ახალგაზრდული ბანაკი“, თანხა - 20000-00 ლარი;
14. ა.(ა).ი.პ „აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირი “ჰერა“, პროექტი - „სოციალური საწარმო აუდიო-მულტი სტუდია „ჰერა“-ს აუდიო წიგნების სამყარო“, თანხა - 19069-00 ლარი;

15. ა.(ა).ი.პ „ფინიკი“, პროექტი - „ნატურის ხე“, თანხა - 19898-00 ლარი;
16. ა.(ა).ი.პ „მომზაობა ხელმისაწვდომი გარემოსათვის“, პროექტი - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჯარისკაცები ხელმისაწვდომი გარემოსთვის“, თანხა - 19962-00 ლარი;
17. ა.(ა).ი.პ „სტუდენტები უკეთესი განათლებისთვის“, პროექტი - „ელექტრონული ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა ახალგაზრდების ედუკატიური და ხელმისაწვდომი განათლებისთვის“, თანხა - 18770-00 ლარი;
18. ა.(ა).ი.პ „საზოგადოებრივი ორგანიზაცია „აისი“, პროექტი - „ახალგაზრდების სარეზერვო-სამაშველო მომზადება“, თანხა - 18208-00 ლარი;
19. ა.(ა).ი.პ „დემოკრატიის ლაბორატორია“, პროექტი - „მე, აქტიური მოქალაქე“, თანხა - 18036 ლარი და 50 თეთრი;
20. ა.(ა).ი.პ „მომზადი გალერეა“, პროექტი - „მომზადი გალერეა / მომზადი იმიჯები“, თანხა - 19278-00 ლარი;
21. ა.(ა).ი.პ „სოციალურ საწარმოთა ალიანსი“, პროექტი - „სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდული ფესტივალი“, თანხა - 19455-00 ლარი;
22. ა.(ა).ი.პ „ხევისურეთი და თემი“, პროექტი - „ტურისტულ-სათავგადასვლო ცენტრი/კემპინგი “ჩირდილი“, თანხა - 18950-00 ლარი;
23. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდები მთის განვითარებისათვის“, პროექტი - „გომარო-ზანავის თემში სპორტულ-კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“, თანხა - 18839 ლარი და 85 თეთრი;
24. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდები ჯანსაღი ცხოვრებისთვის“, პროექტი - „არაფორმალური განათლების სკოლა“, თანხა - 14893-00 ლარი;
25. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდა ფინანსისტა და ეკონომისტთა ასოციაცია“, პროექტი - „Produce the Art (აწარმოე ხელოვნება)“, თანხა - 21355-00 ლარი;
26. ა.(ა).ი.პ „მომავალი იწყება დღეს“, პროექტი - „თანამედროვე საინფორმაციო სისტემა DAISY, უსინათლო და წაკითხვის პრობლემების მქონე ადამიანებისათვის“, თანხა - 21280-00 ლარი;
27. ა.(ა).ი.პ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების კავშირი“, პროექტი - „სოციალური საწარმოების გაძლიერება შშმ პირთა თემის მხარდასაჭერად“, თანხა - 19950-00 ლარი;
28. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“, პროექტი - „დაბა წაღვერის ახალგაზრდული ცენტრი“, თანხა - 20000-00 ლარი;
29. ა.(ა).ი.პ „ხვალინდელი დღე“, პროექტი - „სპელოტურიზმის განვითარება ზემო იმერეთში“, თანხა - 17855-00 ლარი;
30. ა.(ა).ი.პ „გზა მშვიდობისკენ“, პროექტი - „ნიქოზის მეკლდეურთა კლუბი“, თანხა - 18445 ლარი და 06 თეთრი;
31. ა.(ა).ი.პ „საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია“, პროექტი - „ტრადიციული რეწვა - სამცხე-ჯავახეთის ახალგაზრდების დასაქმებისა და რეგიონალური განვითარებისთვის“, თანხა - 18770-00 ლარი;
32. ა.(ა).ი.პ „რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური განვითარების ფონდი-ახალგაზრდობა“, პროექტი - „მეტი ახალგაზრდობა მთას“, თანხა - 17650-00 ლარი;
33. ა.(ა).ი.პ „ნიუ ჯ“, პროექტი - „რბილი განმავითარებელი სათამაშოების სამკერვალო საწარმო“, თანხა - 19925-00 ლარი;
34. ა.(ა).ი.პ „გავამდიეროთ სოფლად ახალგაზრდები“, პროექტი - „მზეკო“, თანხა - 19209 ლარი და 50 თეთრი;
35. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდული იდეების ცენტრი 2017“, პროექტი - „სოციალური ფოტო-ვიდეო სახელოსნო“, თანხა - 19980-00 ლარი;
36. ა.(ა).ი.პ „გრივო“, პროექტი - „ახალგაზრდა მებაღეები“, თანხა - 18210-00 ლარი;
37. ა.(ა).ი.პ „დემოკრატიის განვითარების სააგენტო“, პროექტი - „სოციალური საწარმო „სოციალური სამყარო“, თანხა - 19980-00 ლარი;
38. ა.(ა).ი.პ „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება 21-ე“, პროექტი - „ქართული ენის შემსწავლელი კურსი ფერეიდნელი ქართველებისათვის“, თანხა 18180-00 ლარი;
39. ა.(ა).ი.პ „სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია“, პროექტი - „ხის საწარმო „სხივის“ განვითარება“, თანხა - 19970-00 ლარი.

ზემოთ ჩამოთვლილი პროექტებიდან დღევანდელი მდგომარეობით დაიხურა შემდეგი 39 (ოცდაცხრამეტი) პროექტი:

1. ა.(ა).ი.პ „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება 21-ე“, პროექტი - „ქართული ენის შემსწავლელი კურსი ფერეიდნელი ქართველებისათვის“ (დაფინანსდა- 18180-00 ლარის ოდენობით, პროექტის განხორციელების შედეგად აუთუისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 558-79 ლარს)
 პროექტის მიზანს წარმოადგენდა ფერეიდნელი ქართველებისათვის ქართული ენისა და ხალხური სიმღერების შესწავლა, ექსკურსიების მეშვეობით მათთვის ქართული კულტურის და ისტორიული ძეგლების გაგნობა. პირველ ეტაპზე ქართველი ფერეიდნელებისათვის მოძიებული იქნა საცხოვრებელი ფართები, გაფორმდა მუპატრონეებთან ხელშეკრულებები და მოხდა ანგარიშსწორება. შემენილ იქნა ქართული სახელმძღვანელოები და საკანცელარიო ნივთები. კვირის გარდა, ყოველდღიურად გაკეთილები ჩატარდა ქართულ ენაში (სულ 60 საათი), სიმღერაში (36 საათი), ფანდურის შესწავლაში (36 საათი). 27 ივნისს მოეწყო ექსკურსია თბილისის ისტორიულ უბნებში და მცხეთაში (ჯვარი, სვეტიცხოველი), ანანურში, ჩარგალში, 30 ივნისს - თბილისი-ახალციხე, ვარძია, საფარა, ხერთვისი-თბილისი. 2 ივლისს - კახეთში: უჯარმა, შუამთა, თელავი, ალავერდი, გრემი, ილიას ტბა. 10 ივლისს - უფლისციხე, გორის ციხე, ქსნის ციხე. მძღოლებთან გაფორმდა ხელშეკრულებები და მოხდა ანგარიშსწორება. ექსკურსიების ფარგლებში განხორციელდა ფერეიდნელების კვებით უზრუნველყოფა. 9 ივლისს გაიმართა პროექტის დასკვნითი ღონისძიება. პროექტში მონაწილეობდა 15 ახალგაზრდა, აქედან 7 მამაკაცი და 8 ქალი. ყველაზე პატარა მონაწილე იყო 22 წლის, ყველაზე უფროსი კი 34 წლის.
2. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდები სამეგრელოს განვითარებისთვის“, პროექტი - „სოციალური საწარმო „მეგო-ბარი“ (დაფინანსდა 19715-00 ლარის ოდენობით)
 პროექტის მიზანს წარმოადგენდა სამეგრელოს რეგიონის ახალგაზრდებისთვის ისეთი სივრცის შექმნა, სადაც გაერთიანებულია სამუშაო და გასართობი გარემო. პირველ ეტაპზე ჩატარდა შეხვედრები ადგილობრივ ახალგაზრდებთან, სადაც ისინი გაეცნენ პროექტის მიზნებს, შეირჩა მოხალისეები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალური ბარის სივრცის მოწყობაში. გაიმართა პროექტის პრეზენტაცია. ახალგაზრდების მონაწილეობით ჩატარდა ტრენინგი და საინფორმაციო სახის აქტივობები თემაზე „მშვიდად, საჭესთან ქალია“, მოეწყო კინორეჟინგები სხვადასხვა თემატიკაზე, მოეწყო სპორტული გადაცემების ტრანსლაციები. 11 მუსიკალური საღამო. მოწვეულმა ბარმენმა ახალგაზრდებს გააცნო ბარის მუშაობის სპეციფიკა და ჩატარა კოქტეილების მომზადების მასტერკლასები. მეორე ეტაპზე მოეწყო უცხოეთში მოღვაწე ადგილობრივი მუსიკოსის შეხვედრა ახალგაზრდებთან და გაიმართა მუსიკალური საღამო. გაიმართა ადგილობრივი ახალგაზრდებისგან შემდგარი მუსიკალური ჯგუფების და სოლო შემსრულებლების კონცერტები. ჩატარდა ახალგაზრდა რეჟისორების (დევნილი ახალგაზრდების) მიერ გადაღებული ფილმის პრემიერა. ასევე სხვადასხვა ფილმების ჩვენება-განხილვები. სოციალური ბარის საშხარეულოს ბაზაზე ახალგაზრდებისთვის მოეწყო კულინარიის თეორიული და პრაქტიკული სწავლებები, რომელიც გაგრძელდა თვესახევარი. სოციალური ბარი დღის განმავლობაში ემსახურება ახალგაზრდებს, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ საჭირო კომპიუტერული მომსახურება მიიღონ უფასოდ, ხოლო 18:00 საათიდან მუშაობს ბარი. პროექტში მონაწილეობდა ახალგაზრდებისგან შექმნილი 3

ჯგუფი, სულ 73 მონაწილე (32 ბიჭი, 41 გოგო). ტრენინგ კურსებს დაესწრო ჯამში 54 მონაწილე (36 გოგო, 18 ბიჭი). სულ ჯამში პროექტის ბენეფიციარი იყო 17-დან 30 წლამდე ასაკის 413 ახალგაზრდა.

3. ა.(ა).ი.პ "სტუდენტური ერთიანობა", პროექტი - „შემოსე თანამოქალაქე“ (დაფინანსდა 14 738 ლარისა და 50 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 107 ლარს და 48 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო თბილისის მასშტაბით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყუთების განთავსება ტანსაცმლისა და სათამაშოების შესაგროვებლად, გადახარისხება და მათი დარიგება სოციალურად დაუცველი ფენისათვის - კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის და შიდა ქართლის მოსახლეობისთვის. პროექტის ფარგლებში განთავსდა ყუთები „ფრეგოს“ ბენზინ გასამართ სადგურებზე, ასევე პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მოხდა მოსახლეობის ინფორმირება ყველანაირი საშუალებებით, რათა მოეტანათ ტანსაცმელი და მიეღოთ პროექტში მონაწილეობა. შემოვიდა უამრავი ტანსაცმელი, რაც დახარისხდა და გადააწილდა რეგიონებში. ბენეფიციართა ჯგუფმა 1200 ადამიანს გადააჭარბა.

4. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდული ეკო სოფელი“, პროექტი - „ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდული ეკო სოფლის“ საბანაკე ტერიტორიის განვითარება“ (დაფინანსდა 24 225 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 18 ლარს და 16 თეთრს)

პროექტი მიზნად ისახავდა საბანაკე ტერიტორიის ინფრასტრუქტურულ განვითარებას. პროექტის მიზანი იყო კარვის ტიპის განთავსების საშუალებიდან კოტეჯის ტიპის ინფრასტრუქტურაზე გადასვლა. რათა გაზრდილიყო ბანაკის საოპერაციო პერიოდი. პროექტი ითვალისწინებდა 5 ხის კოტეჯის მშენებლობას, რომელიც უზრუნველყოფს ბანაკის საოპერაციო პერიოდის გაზრდას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და განვითარებას. პირველი ეტაპის ფარგლებში განხორციელდა ტერიტორიის დასუფთავება და მომზადება მშენებლობისთვის, ივნისის თვიდან კი დაიწყო სამშენებლო მასალების შესყიდვის პროცესი და მშენებლობის ეტაპობრივი განვითარება: მომზადდა კოტეჯების საძირკველი, გაიმართა შენობების გარე კარკასი და განხორციელდა კოტეჯების მშენებლობა. ხის მასალით შეფუთვა და გადახურვა. ამუშავდა ხუთივე კოტეჯი, გაიმართა შიდა ელექტრობა, ხის ფაქტურა, წვიმისგან დაცვის მიზნით, შეიღებოდა უფრო ლაქით, ასევე დასრულდა გარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. ბანაკი მზად არის უმასპინძლოს სტუმრებს. ფონის საბანაკე ტერიტორია 2018 წლის აპრილიდან უმასპინძლებს უკვე დაგეგმილ 2 ტრენინგ/ბანაკს. პროექტს პირდაპირი ბენეფიციარები არ ჰყოლია.

5. ა.(ა).ი.პ „დემოკრატიის ლაბორატორია“. პროექტი - „მე. აქტიური მოქალაქე“ (დაფინანსდა 18 036 ლარის და 50 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 9 ლარს და 50 თეთრს)

პროექტის მიზანს წარმოადგენდა პანკისის ხეობის სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეების სამოქალაქო ჩართულობისა და მოტივაციის გაზრდა, დისკუსიის წახალისება. მოსწავლეთა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. პროექტი შედგებოდა სამი ეტაპისგან, რომლის ფარგლებში ორგანიზაციის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ პანკისის რეგიონში მდებარე სკოლების დირექტორებს, გააცნეს პროექტის აქტივობები და დაიგეგმა რეგიონის ექვსივე სოფლის (დუისი, ომალო, წინუბანი, დუმასტური, ბირკიანი, ჯოყოლო) უფროსკლასელებთან გასამართი შეხვედრების თარიღები. შეირჩა ლიტერატურა შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფებისთვის, რომელიც ყოველ შეხვედრაზე გადაეცემოდათ დამსწრე მოსწავლეებს. პროექტის ძირითად ეტაპზე გაიმართა შეხვედრები პანკისის რეგიონის 6 სოფლის 120 უფროსკლასელთან. ახალგაზრდებს უტარდებოდათ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის გიორგი კვეციძის ლექცია წიგნიერებასთან დაკავშირებით. უფროსკლასელები შეხვედრებზე იმეგდნენ სპეციალურად მათთვის შექმნილი კითხვარების შევსების ინსტრუქციას. ასევე დეტალურად განემარტებოდათ კითხვარის კონფიდენციალურობის შესახებ. რათა მათ მიერ პრობლემებისა და სურვილების გადმოცემა მომხდარიყო მაქსიმალურად გულწრფელად. შეხვედრების შედეგად სულ შეიგსო ასამდე კითხვარი. დასკვნითი ღონისძიება გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში. პროექტის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა ჯამში თოთხმეტმა მედიასაშუალებამ. პროექტის ბენეფიციარია 120 მოსწავლე პანკისის რეგიონიდან.

6. ა.(ა).ი.პ „ჰელოუ ჯოი“, პროექტი „სოციალური საწარმო Hello Joe“ (დაფინანსდა 19 480 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 596 ლარს და 75 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდა მუსიკოსებისთვის ახალი სოციალური პლატფორმის შექმნა, სადაც ისინი დასაქმდებიან გონივრული სამუშაო გრაფიკით და მოახდენენ შესაძლებლობათა პრეზენტაციას და პროფესიულ განვითარებას. განხორციელებული აქტივობები შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: საორგანიზაციო საკითხები სოციალური ბარის გახსნამდე და შემდგომ. უკვე ფუნქციონირებადი ბარის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები. პირველ ეტაპზე მოხდა ფართის მოძიება (ლეო ქიაჩელი N14), იუარის ხელშეკრულების გაფორმება, ფართის მოწყობა და სარემონტო სამუშაოები, შეხვედრების წარმოება მწარმოებელ და სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლებთან, პერსონალის აყვანა, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიასთან თანამშრომლობა: რექტორი რეზო კიკნაძე გახსნის დღიდან ყოველ ხუთშაბათს „ჰელოუ ჯოიში“ ჯაზის სადამოებს უკეთებს ორგანიზებას, კონსერვატორიის სხედასხვა სტუდენტებთან ერთად. მეორე ეტაპზე განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ბარის გახსნა და პროექტის პრეზენტაცია; კლასიკური გიტარის სადამო; მუსიკალური ბენდის „Sons of carpenter“ სადამო; თავისუფალი იმპროვიზაციის სადამო Critical Mass & Reso Kiknadze - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის, რეზო კიკნაძის ხელმძღვანელობით; Discussion about Keith Jarrett - ლეგენდარული პიანისტის პერფორმანსის ჩანაწერის მოსმენა, ლექცია და დისკუსია პიანისტის შემოქმედებაზე; კლასიკური გიტარის მასტერკლასები; ჯგუფის „Auditorium A“ სადამო; რეზო კიკნაძის კვინტეტის სადამო; ჯგუფის „Khondzi Night“ სადამო; ელექტრო ჯაზ პერფორმანსი; კლასიკური მუსიკის ღამე; ჯგუფის „წერილი“ სადამო; ელექტრონული მუსიკის დუეტის „NUM“ სადამო; ტანგოს, ვალისისა და კინო-მუსიკის სადამო; ტრადიციული ჯაზის ღამე და ა.შ. პროექტის სამიზნე ჯგუფს ახალგაზრდა მუსიკოსები წარმოადგენენ. 45 სამუშაო დღის განმავლობაში „ჰელოუ ჯოიში“ 80 მუსიკოსს დაუთმო საპრეზენტაციო სივრცე. მუსიკოსების უმეტესი ნაწილი კონსერვატორიის სტუდენტია. სოციალურ ბარში ამჟამად დასაქმებულია 7 პირი (3 ქალი, 4 მამაკაცი) 18-33 წლამდე.

7. ა.(ა).ი.პ „მოდრაობა ხელმისაწვდომი გარემოსთვის“. პროექტი - „შეხლადული შესაძლებლობების მქონე ჯარისკაცები ხელმისაწვდომი გარემოსთვის“ (დაფინანსდა 19 962 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 210 ლარს და 89 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო საზოგადოებაში შშმ პირთა (საომარ მოქმედებებში დაჭრილ-დამავებული ჯარისკაცები) სრულფასოვანი ინტეგრაცია და თანაბარ-უფლებრივი მდგომარეობის დაშვების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში აშენდა და მოეწყო ადაპტირებული დუმი-ტულატი; მოეწყო ცემენტ-ბეტონის პანდუს-ბილიკები; მოეწყო კარების ზანაკი; გაიმართა სპორტული აქტივობები: ზიპლაინი, მშვილდოსნობა, ჯომარდობა, პეინტბოლი, კულინარიული დუელი, მეკლდეურობა, თევზაობა, წყალბურთი; ახალგაზრდებისთვის ტრენინგი სამოქალაქო თავდაცვის საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გორის, ხაშურისა და გურის რაიონებში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა. მათ შშმ ჯარისკაცებთან ერთად იასპარეზეს სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში. ერთობლივად დაასუფთავეს მტკვრის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორია. პროექტის ბენეფიციარები არიან საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრები, საომარ მოქმედებებში დაჭრილ-დამავებული ჯარისკაცები, სულ 16 ბენეფიციარი.

8. ა.(ა).ი.პ „ფინიკი“, პროექტი - „ნატურის ხე“ (დაფინანსდა 19 898 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 16 ლარს და 41 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო სოფელ ხაშში ბიბლიოთეკა-ცენტრი „ნატურის-ხე“ ოფისის მოწყობა-განთავსება; სასწავლო ჯგუფების შერჩევა-დაკომპლექტება, ბუნებრივი და კომპიუტერული გრაფიკის შემსწავლელი კურსის დაწყება. პირველ ეტაპზე განხორციელდა ბიბლიოთეკა-ცენტრის კეთილმოწყობა. ჩატარდა გარე ფასადის და შიდა სივრცის რემონტი: აშენდა ოფისში შესასვლელი კიბე, დამონტაჟდა რკინის კარი, დაყენდა მეტალოპლასტიკის ფანჯრები, ჩატარდა სამალიარო და ელექტრო-გაყვანილობის სამუშაოები. შეძენილ იქნა წიგნები, კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი. სოფლის მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით განცხადებების ფორმით გაერცვლდა სასწავლო-შემსწავლელი კურსების გახნის თაობაზე დაწერილობითი ინფორმაცია. ტრენინგმა თავად მიიღეს მონაწილეობა ბენეფიციარების შერჩევა-დაკომპლექტებაში. ცენტრი 15 აგვისტოდან აქტიურად შეუდგა ჯგუფების დაკომპლექტებას. ბუნებრივი სწავლების ჯგუფში 15 ბენეფიციარი გაერთიანდა, კომპიუტერული პროგრამების ერთ ჯგუფში კი 14 ბენეფიციარი, მოგვიანებით მათ 2 მოხალისე შეუერთდა.

9. ა.(ა).ი.პ „გზა მშვიდობისკენ“, პროექტი - „ნიქოზის მეკლდეურთა კლუბი“ (დაფინანსდა 18 445 ლარის და 06 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 28 ლარს და 66 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო სოფელ ზემო ნიქოზში უცვლელ მეკლდეურთა კლუბში ხელოვნური საცოცი კედლის სავარჯიშო გარემოს კეთილმოწყობა, კერძოდ დამატებითი საცოცის მოწყობა, რთული მონაკვეთების დახეწვა და უსაფრთხოების ზომების გამაღიერება, მეტეოროლოგიური მოვლენებისაგან (წვიმა, თოვლი, ქარი) დამცავი საფარის მოწყობა, რაც უზრუნველყოფს კლუბში მთელი წლის განმავლობაში ვარჯიშის პირობებს და შეჯიბრების ჩატარებას. პირველ ეტაპზე განხორციელდა მასალების და აღჭურვილობის შეძენა. მეორე ეტაპზე 16 ორმოს ამოღება და ზოძების ჩაბეტონება, რომლებიც მოპირკეთდა ქვით. ასევე აეწყო რკინის კონსტრუქცია რთული ცოცვისათვის, რომელზეც აეკრა ფანერა. კედლის უკანა მხარეს აეკრა პროფინირებული ფენილი, რომელიც განკუთვნილია წვიმისაგან კედლის დასაცავად. ვარძიდან ჩამოტანილ იქნა რიყის ქვები, რომლებიც დაიჭრა და გამზადებულ იქნა საცოც კედელზე ხელსაჭიდად. უსაფრთხოების ლეიბებს გადაეკრა ბრეზენტო. კედელი მოზადადა ზამთრის პირობებისთვის. პროექტის ბენეფიციარია 50 კაცი (15 წლამდე; მდედრობითი-10%), რომლებიც ვარჯიშობენ საცოც კედელზე.

10. ა.(ა).ი.პ „ხვალინდელი დღე“, პროექტი - „სპელეოტურიზმის განვითარება ზემო იმერეთში“ (დაფინანსდა 17 855 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 29 ლარს და 75 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო სპელეოგიდის სამსახურის საფუძვლის ჩაყრა და სპელეოტურიზმის პოპულარიზაცია ზემო იმერეთის რეგიონში. პროექტის ფარგლებში მოხდა სპელეოაღჭურვილობის შეძენა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სავარჯიშოდ, რომლებიც მათ გადაეცათ შესაბამისი ხელშეკრულებით დროებით სარგებლობაში. მოეწყო შემეცნებითი სპელეოექსკურსიები მღვიმეებში ტურიზმის ამ სახეობის პოპულარიზაციის მიზნით. ჩატარდა შეხვედრები და პროექტის პრეზენტაცია ჭიათურის და თერჯოლის გამგეობებში. დამზადდა გზის მანიშნებლები და საინფორმაციო ბანერები, სადაც მოცემულია ინფორმაცია მღვიმეების შესახებ. მოხდა ამ ბანერების დამონტაჟება. დამზადდა ფერადი პლაკატები და სტიკერები, რომელიც დარიგდა ტურაგენტებს შორის რეგიონში. მოზადადა სარეკლამო ვიდეოკლიპები ქართულ და ინგლისურ ენებზე. ქართულენოვანი კლიპები 2 კვირის განმავლობაში გაუშვეს „იმერეოიზიში“, ხოლო ინგლისურენოვანი კლიპები ინტერნეტის საშუალებით გაერცვლდა და მთელი წლის განმავლობაში გაერცვლდება Youtube-სა და სოციალურ ქსელში. პროექტის უშუალო ბენეფიციარები არიან ზემო იმერეთში მცხოვრები ის ახალგაზრდები, რომელთაც გამოთქვეს სურვილი მიეღოთ მონაწილეობა სპელეოგიდის სამსახურის ჩამოყალიბებაში და ასევე მონაწილეობა მიიღეს სპელეოტრენინგებში (14 ახალგაზრდა). სპელეოტურიზმის განვითარების მიზნით ჩატარებულ შემეცნებით სპელეოტურებში მონაწილეობდა 25 ადამიანი (მდედრ-12; მამრ-13). 12-დან 40 წლამდე ასაკის 19 ადამიანი, ხოლო 40 წელს ზემოთ - 6 ადამიანი.

11. ა.(ა).ი.პ „სტუდია ბაო“, პროექტი - „სიმართლის გუდა“ მსოფლიო ხალხთა ანდაზები ანიმაციაში“ (დაფინანსდა 20 000 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 04 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო მსოფლიოს ხალხთა ანდაზების მიხედვით თორმეტი მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმისგან შემდგარი სერიალის შექმნა, როგორც პროფესიონალი, ასევე არაპროფესიონალი, სოციალურად დაუცველი და შშმ პირების ჩართულობით. პროექტის პირველ ეტაპზე გაიმართა ვორქშოპები: სატელემოქმედო ფონდში „ემი სახლი“; ასოციაცია „ანიკა“-ში; სტუდია „არ“-ში; „ახალ ქართულ სკოლაში“. ვორქშოპებზე ნაჩვენები იქნა „სტუდია ბაოს“ წინა წლებში ნამუშევარი ანიმაციური ფილმები, ხოლო კინოსეანსის შემდეგ ბენეფიციარებმა დახატეს მსოფლიო ხალხთა ანდაზების ილუსტრაციები, რომელთაგან საუკეთესოები აირჩა გამოფენისთვის. მსოფლიო ხალხთა ანდაზებიდან არჩეული 12 ანდაზის მიხედვით შეიქმნა სცენარები, ლექსები, პერსონაჟები, ფონები და დაიწყო ანიმაციური სერიალის წარმოება. შემდეგ ეტაპზე თითოეულ ანდაზზე შექმნილი სცენარის მიხედვით დაიხატა კადრირება 12 ფილმისთვის. 12 ანდაზაზე გაკეთდა ანიმაცია და მოხდა მათი ვიდეო მონტაჟი, გახმოვანება, კომპოზიციონგი. ანიმაციას აწარმოებდნენ როგორც პროფესიონალი, ასევე მოყვარული და სტუდენტი ანიმატორები. გახმოვანებისთვის პროექტში მოხალისეობრივად ჩაერთო რამდენიმე პროფესიონალი და არაპროფესიონალი მსახიობი: კახი კავსაძე, რუსუდან ბოლქვაძე, თამარ მამულაშვილი, მალხაზ კუხიანიძე, სოფო ზაქარეიშვილი. მოზადადა სერიალის ქუდი და დაიწერა ორიგინალური მუსიკა კონსერვატორიის სტუდენტ სოფია სადარაძის მიერ. განხორციელდა პრემიერისთვის მზადება. პროექტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს შშმ მოზარდებმა, სოციალურად დაუცველებმა და სკოლის მოსწავლე ბავშვებმა,

ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულნი სტუდენტები. მთლიანად აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 70-მდე ადამიანი. პარტნიორ ორგანიზაციებში ჩატარებულ ვორქშოპების მონაწილე ბენეფიციარების ასაკი იყო 6-დან 21 წლამდე; 21-გოგო, 29-ბიჭი.

12. ა.(ა).ი.პ „სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია“, პროექტი - „ხის საწარმო „სხივის“ განვითარება“ (დაფინანსდა 19 970 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 20 ლარს)
პროექტის მიზანი იყო არსებული ხის სოციალური საწარმო „სხივი“ ს განვითარება: წარმოების გაფართოება; შშმ პირთა პროფესიული გადამზადება და დასაქმება. პროექტის განხორციელებისთვის შეიკრიბა მუშა ჯგუფი 7 ადამიანის შემადგენლობით: პროექტის კოორდინატორი, კოორდინატორის ასისტენტი, მენეჯერი, ხელო, სპეც.პედაგოგი, ფსიქოლოგი, სოციალური თერაპევტი. ასევე შეირჩა სხვადასხვა დღის ცენტრიდან და რაიონის სოციალური მომსახურების სააგენტოდან სოციალურად დაუცველი შშმ პირის სტატუსის მქონე 20 ბენეფიციარი. ხის საწარმოს მოსაწყობად მუშა ჯგუფმა მოიძია ფართი მოსკოვის გამზირზე 100 კვ.მ. ადაპტირებული და მორგებული შშმ პირთა საჭიროებებზე, რომლის დაქირავება უზრუნველყო თბილისის მერიამ. მოხდა გრავირების აპარატის Roland MDX-40A 3D მულტიფუნქციური დანადგარის შეძენა-დამონტაჟება. ჩატარდა ტრენინგები ბენეფიციარებისთვის. ისინი დაეუფლნენ ხის დამუშავების თეორიულ და პრაქტიკულ მასალას. ხის საწარმოში გამრავალფეროვნდა პროდუქცია, შეიქმნა საყოფაცხოვრებო და საკანცელარო ნივთები, ხის საფანქრები, კალმებისა და მობილური ტელეფონის საფარები, ხის პანელები და სხვა. გაგრძელდა სათამაშოების წარმოება. დაშადა ხის ინტელექტის განმავითარებელი სათამაშოები. პროდუქციის რეალიზაციისთვის შეირჩა რამდენიმე მაღაზია, მათ შორის სათამაშოების მაღაზია „ჭიტა“, „ლიბრა“, „გუდვილი“. პროდუქტი გათვლილია როგორც ჯანმრთელი, ასევე შშმ პირთა სეგმენტზე. პროდუქტს შეიძენენ დღის ცენტრები, სკოლები, საბავშვო ბაღები, სარეაბილიტაციო ცენტრები. საინფორმაციო კამპანიისთვის ორგანიზაციის მიერ მომზადდა და დაიბეჭდა ბუკლეტები ინგლისურ და ქართულ ენებზე (ტირაჟი-1000კალი). ხის საწარმოს შესახებ მომზადდა სოციალური ვიდეო-რგოლი, რომელიც გავიდა საზოგადოებრივ მაუწყებელზე. მომზადდა ასევე ვებ-გვერდი, სადაც განთავსდა ინფორმაცია ხის საწარმოს შესახებ. სამიზნე ჯგუფია შშმ პირები ფსიქო-ემოციური დარღვევებით, სულ 20 ბენეფიციარი. 6 გოგონა და 14 ვაჟი (18-დან 30 წლამდე).

13. ა.(ა).ი.პ „სოციალურ საწარმოთა ალიანსი“. პროექტი - „სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდული ფესტივალი“ (დაფინანსდა 19 455 ლარის ოდენობით)
პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოში სოციალური მეწარმეობის თემის პოპულარიზაციას, სხვადასხვა სოციალური მიზნის მქონე საწარმოს ცნობადობის გაზრდას და მათი განვითარებისთვის ხელშეწყობას საქართველოს სხვადასხვა ტურისტულად აქტიურ ქალაქებში სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზების გზით, ფესტივალის ფარგლებში სოციალური საწარმოების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვების ორგანიზებით. პარალელურად დაიგეგმა ახალგაზრდებისთვის სოციალური მეწარმეობის სემინარების გამართვა. პროექტის ფარგლებში შეირჩა 18 სოციალური საწარმო, რომელთა პროდუქციის რეალიზაციაც მოხდა ფესტივალის ფარგლებში. ეს სოციალური საწარმოებია: „შაბაღი“, „კოდლა“, „არაბული არტ ჰაუსი“, „იკორთა“, „ეთნოდიზაინი“, „ერთად“, „ისტორიალი“, „მშობელთა ხიდის თიხის სახელოსნო“, „სობისის ახალგაზრდული კოოპერატივი“, „ფარმევანგი“, „წული“, „ნუკრიანის სახელოსნოები“, „ტრადიციული მოდის სახლი“, „ბიოველი“, „არბო“, „ლელო“, „სხივი“, „რვა“. 5 ქალაქიდან (თბილისი, სიღნაღი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) 25 ახალგაზრდა გადამზადდა და დასაქმდა სოციალური საწარმოების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვების პროცესში. 18 სოციალური საწარმოს პროდუქცია გამოიფინა და გაიყიდა 5 ქალაქში; მომზადდა მონაწილე სოციალური საწარმოების საქმიანობის და პროდუქციის ამსახველი საინფორმაციო კატალოგი, რომელიც ხელმისაწვდომი იყო დაინტერესებული პირებისთვის. ფესტივალზე პროდუქციის რეალიზაციის პროცესში დასაქმებული ახალგაზრდები საჯარო სემინარის გზით დაინტერესებულ პირებს დეტალურად აცნობდნენ ინფორმაციას წარმოდგენილი საწარმოების სოციალური მიზნების შესახებ. ფესტივალი უზრუნველყოფილი იყო ვიდეო გადაღებით და მისი დასრულების შემდეგ მომზადდა ვიდეო რგოლი, რომელიც სოციალური მედიით გავრცელდა. პროექტის ფარგლებში ჩატარდა 2 ტრენინგი „ღონისძიების დაგეგმვა და ორგანიზება“. ტრენინგებს ჯამურად დაესწრო 26 ახალგაზრდა, რომლებიც დასაქმდნენ ფესტივალის ფარგლებში ორგანიზებული გამოფენა-გაყიდვების პროცესში. ფესტივალის ფარგლებში მოხალისეობრივად ჩაერთო 18 ადამიანი. სულ პროექტში დასაქმებულთა და მოხალისეთა რაოდენობა იყო 47 ადამიანი (16-დან 42 წლამდე), 15-მამრობითი, ხოლო 32-მდედრობითი სქესის წარმომადგენელი.

14. ა.(ა).ი.პ „გრინკო“, პროექტი „ახალგაზრდა მეზაღები“ (დაფინანსდა 18 210 ლარის ოდენობით)
პროექტის მიზანი იყო სოციალური საწარმოს „ახალგაზრდა მეზაღები“ შექმნა, რომელიც უნდა დაკომპლექტებულიყო კვალიფიციური ბენეფიციარებით, შესაბამისი აღჭურვილობით და სატრანსპორტო საშუალებით. პროექტის ფარგლებში სოციალურმა საწარმომ დაიწყო ფუნქციონირება. გასაუბრების პრინციპით შეირჩა და დასაქმდა ბენეფიციარები. მოხდა ახალგაზრდა მეზაღების გადამზადება. მათ შეისწავლეს თანამედროვე ტიპის სამებალო აღჭურვილობის გამოყენება. შეძენილი ავტოსანტრასპორტო საშუალებით, უნიფორმებით და შესაბამისი აღჭურვილობით ბენეფიციარებმა უკვე დაიწყეს ბაღის მოვლის სამუშაოების შესრულება. საწარმოს მარკეტინგული აქტივობებისთვის დაშადა სხვადასხვა სახის სარეკლამო მასალები. საწარმოს მიზანია მწკანე საფარის მოვლა და საქართველოს გარემოსა და ეკოლოგიაზე ზრუნვა. შეირჩა ორი ბენეფიციარი. დასაქმდა 19 წლის ვაჟი და 27 წლის გოგონა, რომლებიც დეკორატიული მეზაღების კოლექციის კურსდამთავრებულები არიან. ასევე შეიქმნა 4 კაციანი მოხალისეთა ჯგუფი.

15. ა.(ა).ი.პ „ხევსურეთი და თემი“, პროექტი - „ტურისტულ-სათავგადასავლო ცენტრი/კემპინგი „ჩირდილი“ (დაფინანსდა 18 950 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 0 ლარს და 01 თეთრს)
პროექტის მიზანი იყო ხევსურეთში სამთო-სათავგადასავლო ტურისტული ცენტრი/კემპინგის შექმნა, რომელშიც გაერთიანდნენ ადგილობრივი თემის წარმომადგენლები, ახალგაზრდები და ტურისტული ბიზნესით დაინტერესებული ადგილობრივები. გეგმის შესაბამისად გაიწმინდა ტერიტორია ტრაქტორით. კემპინგის მოპირდაპირე მხარეს მთაზე გაკეთდა წყლის შემკრები აუზი და მიყვანილი იქნა კემპინგზე ინდივიდუალურად წყლის სისტემა. მოეწყო საკანალიზაციო სისტემა. გაკეთდა შეღობვა ე.წ. „სეკითი“. შემუშავდა ახალი ტურისტული მარშუტები: საფეხმავლო, საცხენოსნო, ჯიპ-ტურები და ა.შ. მოხდა კემპინგისთვის საჭირო ინვენტარის და აღჭურვილობის შეძენა 30 კაცზე საძილეები, პარალონები, კარვები. კემპინგი ერთდროულად შეძლებს მიიღოს დამისთვის 30 კაციანი ჯგუფი. შეძენილი იქნა ჭურჭელი, მაგიდები, სკამები. კემპინგი შეძლებს კვებაზე მიიღოს 50 კაცი, ღონისძიებებზე და ალაფურშებზე კი 100 კაცი. კემპინგი მოეწყო სოფელ ჩირდილში, ჩირდილის ქალა. ბარისახოს თემი. მოეწყო საინფორმაციო გაცნობითი ტური

მიზნობრივი ორგანიზაციებისთვის - ტურისტული კომპანიები, დონორები და პოტენციური დონორები. პროექტის ბენეფიციარები არიან ხევსურეთში მცხოვრები ახალგაზრდები.

16. ა.(ა).ი.პ „ლაშქრობა“, პროექტი - „ვიდეო ლექციები სალაშქრო თემაზე“ (დაფინანსდა 19 960 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 140 ლარს და 66 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო საგანმანათლებლო ვიდეოებისა და ლექციების დახმარებით მოლაშქრე ახალგაზრდებში ცოდნის ამაღლება, ლაშქრობისას უსაფრთხოების გაზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება, ზუნებაზე მზრუნველობითი მიდგომის ჩამოყალიბება. პროექტი რამდენიმე აქტივობას მოიცავდა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია სალაშქრო-საველე თემაზე ვიდეო ლექციების შექმნა და ორგანიზაციის იუთუბ არხზე განთავსება. პროექტის დასასრულს არხის გამომწერების რაოდენობა 900-დან გაიზარდა 2196-მდე გაიზარდა. ვიდეოების ნახვის მაჩვენებელი კი 7000-ს გადაედა. მნიშვნელოვანი იყო ასევე მატერიალურ-ტექნიკური ზაზის შექმნა. წარმატებულად შესრულებული შესყიდვების შედეგად ორგანიზაციას უკვე გააჩნია ის აღჭურვილობა, რომელიც ვიდეოგანხილების პროექტს მოემსახურება მრავალი წლის განმავლობაში. დიდი დინამიკის გამოიწვია კონკრეტული სალაშქრო ლოკაციების შესახებ გადაღებულმა ვიდეოებმა. ასეთებია: „მოგზაურობა თუშეთში“, „ლაშქრობა დიდგორზე“, „ძალანთხევი-კვარათხევის მარშუტი“, „წითელი ციხე“ და „თავკვეთილის ვულკანი“. პროექტის ბენეფიციარები არიან ის მაყურებლები რომლებიც ეცნობოდნენ პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიდეოებს. ჯამში 124 821 მაყურებელი (13-17 წელი 12%; 18-24 წელი 38%; 25-34 წელი 34%). მაყურებლების 96% საქართველოდანაა. დიდგორის ლაშქრობაში მონაწილეობდა 50 მოლაშქრე (18-27 წელი). ორ საჯარო ლექციას და პროექტის შეჯამებას, რომლებიც გაიმართა „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ დარბაზში დაესწრო ჯამურად 60 ბენეფიციარი. პანკისის ხეობაში ჩატარებულ საველე მასტერკლასს (სალაშქრო თემებზე) დაესწრო 15 ახალგაზრდა.

17. ა.(ა).ი.პ „წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი“, პროექტი - „ტრადიციული ხელოვნების შემსწავლელი ცენტრის გაფართოვება და ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა რეწვის პროდუქციის განვითარების გზით ქარელის რ-ნის შშმ პირებისა და ახალგაზრდების ეკონომიური გაძლიერებისათვის“ (დაფინანსდა 12 625 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 61 ლარს და 38 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო ტრადიციული რეწვის სახელოსნოს აღჭურვა: ხის იარაღების, დანადგარების, საკერავი მანქანების შექმნა და ტრადიციული ხელოვნების შემსწავლელი ცენტრის გაფართოვება, ტრადიციული რეწვის პროდუქციის განვითარება, ქარელის რაიონის შშმ პირებისა და სიღარიბის ზღვარზე მყოფი ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების გზით სახელობო უნარების განვითარება, სოციალური ინტეგრაცია და შემდგომი დასაქმების პერსპექტივის შექმნა. პროექტის ფარგლებში სახელოსნო აღჭურვა იარაღებით და დანადგარებით (ბრტყელი გვირისტის მანქანა, ბეწვის საკერავი მანქანა, ტყავის საკერავი მანქანა, დაზღური ლობზიკი და ხის საჭრელი წვირილი იარაღები, სამუშაო და საკანცელარიო მასალები). სარეაბილიტაციო ცენტრის აღსაზრდელებმა და ქარელის რაიონის ახალგაზრდებმა (სულ 45) შეისწავლეს ტრადიციული რეწვის ტყავის, ბეწვის და ტრიკოტაჟის კერვის, ხის დამუშავების ხელოვნება. პროექტის ფარგლებში ჩატარებული პროდუქციის განვითარების ტრენინგით ბენეფიციარები გაეცნენ და შეისწავლეს ზაზრის ანალიზი, პოტენციურ კლიენტებთან ურთიერთობა, პროდუქტის პოზიციონირება და სხვა საჭირო თემატიკა. 3 თვის განმავლობაში 15 შშმ და 30 ადგილობრივი მოზარდი დაეუფლა ტყავის, ბეწვის, ტრიკოტაჟის და ხის დამუშავების ტრადიციული რეწვის ტექნოლოგიას. ხეზე კვეთის ტექნოლოგიას დაეუფლა 8 შშმ ბიჭი (12-18 წლის) და 10 ადგილობრივი მოზარდი (11-18 წლის). ტყავის, ბეწვის და ტრიკოტაჟის დამუშავების ტექნოლოგიას დაეუფლა 6 შშმ გოგო (14-16 წლის) და 1 შშმ ბიჭი (18 წლის) და 20 ადგილობრივი გოგო (15-18 წლის). მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს შემსწავლელი კურსის ბოლოს რეაბილიტაციის ცენტრში გაიმართა პროექტის ფარგლებში შექმნილი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

18. ა.(ა).ი.პ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების კავშირი“, პროექტი - „სოციალური საწარმოების გაძლიერება შშმ პირთა თემის მხარდასაჭერად“ (დაფინანსდა 19 950 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 500 ლარს და 50 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო ორგანიზაციის კუთვნილებაში არსებული ფეხსაცმლის სოციალური საწარმოს გაძლიერება. პროექტის ფარგლებში საწარმომ შეიძინა ფეხსაცმლის საკერავი მანქანა და გასაყიდად გააზრდა 300 წყვილი ფეხსაცმელი, რომელიც შეიკერა პროექტის თანხებით შეძენილი მასალისგან. ასევე დააზრდადებინა 133 ცალი პლასტიკური ბარათი, რომელიც დამატებით შედგავთებს ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი და შშმ პირებისთვის. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს შშმ და სოციალურად დაუცველი პირები. უშუალო ბენეფიციართა რაოდენობა კი შეადგენს 8 პირს. ყველა მათგანი არის თბილისის მცხოვრები, მათგან 4 ქალია (2 სოციალურად დაუცველი, ხოლო 2 - სოციალურად დაუცველი შშმ) და 4 მამაკაცი (ოთხივე სოციალურად დაუცველი შშმ). ბენეფიციართა ასაკი მერყეობს 20-დან 50 წლამდე.

19. ა.(ა).ი.პ „აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირი „ჰერა“, პროექტი - „სოციალური საწარმო აუდიო-მულტი სტუდია „ჰერა“-ს აუდიო წიგნების სამყარო“ (დაფინანსდა 19 069 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 167 ლარს და 68 თეთრს)

აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირ „ჰერა“-ს ზაზაზე 2012 წლიდან ფუნქციონირებს სოციალური საწარმო - „აუდიო-მულტი სტუდია ჰერა“, სადაც დასაქმებული არიან ახალგაზრდა იძულებით გადაადგილებული შშმ პირები. პროექტის მიზანია ჩაიწეროს მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის კლასიკა უსინათლო და მცირემხედველი ბენეფიციარებისათვის. პროექტის ფარგლებში მოხდა აუდიო წიგნების სახით მსოფლიო კლასიკოსების მხატვრული ლიტერატურის შედეგების ჩაწერა და გამოშვება. ამით უზრუნველყოფილ იქნა უსინათლო და მცირემხედველი ბენეფიციარების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპი მსოფლიო მხატვრული ლიტერატურაზე. ჩასაწერი ლიტერატურის შერჩევამი მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისის N202 საჯარო სკოლის (უსინათლოთა სკოლა-პანსიონი) მოსწავლეებმა და მასწავლებელთა კოლექტივმა. საქართველოში პირველად მოხდა აუდიო წიგნების გამოშვება ერთ გიგაბაიტის მცხსიერების ბარათის სახით, რომელიც უფრო კომპაქტურია, ტრანსპორტირებისას არ ზიანდება და უფრო მეტი მხატვრული ლიტერატურა იტვირთება, ვიდრე ჩვეულებრივ CD დისკებზე. სულ ჩაიწერა 10 აუდიო წიგნი და ერთი ფლემ-მცხსიერების ბარათი, რომელზეც ჩაიტვირთა 6 ამერიკული მოთხრობა. პროექტის განხორციელების შედეგად სოციალურ საწარმოში დასაქმდა სამი შშმ (16-დან 30 წლამდე) უსინათლო

ბენეფიციარი (2 მამრობითი, 1 მდედრობითი სქესის). აქედან ორი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი. ერთი ბრაილის შრიფტის სპეციალისტი, ერთი კორექტორი და ერთი ოპერატორ-პროგრამისტი.

20. ა.(ა).ი.პ „ხეცსური ქალები ჯანსაღი მომავლისთვის“, პროექტი - „ახალგაზრდული ცენტრი ხეცსურეთში“ (დაფინანსდა 18 772 ლარის და 54 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 371 ლარს და 02 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო ხეცსურეთში მცხოვრები ახალგაზრდებისა და ბავშვებისთვის განათლების პირობების გაუმჯობესება, მათი ადგილზე დასაქმებისა და მთიდან ბარში ახალგაზრდობის მიგრაციის შეჩერების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში სოფელ ბარისახოში გარემონტდა და კეთილმოეწყო 200 კვ.მ ფართობის შენობა, სადაც გაიხსნა ახალგაზრდული ცენტრი, მოხდა ავეჯისა და კომპიუტერული ტექნიკის შეძენა. ზაფხულის განმავლობაში ჩატარდა არაერთი კულტურული და ინტელექტუალური ღონისძიება, რომელშიც ხეცსურ და ფშაველ ბავშვებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან და მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოსული მათი თანატოლები. ბარისახოს ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა საფორტპიანო მუსიკის კონცერტი - თბილისიდან მოწვეული ხეცსური მოზარდების მონაწილეობით. ჩატარდა ასევე ქისტური ფოლკლორის სადამო - პანკისის ხეობიდან და ინგუშეთიდან ჩამოსული ბავშვების მონაწილეობით და მოეწყო ქისტებისა და ხეცსურების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ამსახველი ფოტოგამოფენა. ცენტრში მაღალკვალიფიკურმა სპეციალისტებმა ჩატარეს ტრენინგები HR მენეჯმენტის, ტურიზმის მენეჯმენტისა და გარემოსდაცვითი საკითხებზე. ბარისახოსა და შუაფხოს სკოლის უფროსკლასელების მონაწილეობით გამოიცა ტურისტული გზამკვლევი ბარისახოსა და ლიქოკის ხეობისთვის სამ ენაზე: ქართულად, ინგლისურად და რუსულად. პროექტის ბენეფიციარია 1000-მდე ფშავესა და ხეცსურეთში მცხოვრები ადამიანი, რომელთაგან 35% ახალგაზრდები და ბავშვები იყვნენ.

21. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდები ჯანსაღი ცხოვრებისთვის“, პროექტი - „არაფორმალური განათლების სკოლა“ (დაფინანსდა 14 893 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 227 ლარს და 51 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო სოციალურად დაუცველი, დევნილი ახალგაზრდების და მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების სასწავლო პროგრამაში ჩართვა, რომელიც უზრუნველყოფს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, სათანადო უნარებით აღჭურვას, რომელიც გამოადგებათ დამსაქმებლებთან ურთიერთობაში. ასევე პროექტი უზრუნველყოფს მცირე ბუჯეტის პროექტების კონკურსის გამოცხადებას, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლებათ ტრენინგებში მონაწილე ახალგაზრდებისგან ჩამოყალიბებულ საინიციატივო ჯგუფებს. პროექტის ფარგლებში მოხდა ინფორმაციის გამოთხოვნა უნივერსიტეტებიდან სოციალურად დაუცველი და დევნილი სტუდენტების შესახებ. მოეწყო შეხვედრები სტუდენტებთან, პროექტის გაცნობა და რეგისტრაციის გამოცხადება. მოხდა დარეგისტრირებული სტუდენტებიდან მონაწილეების შერჩევა, ჯგუფებად განაწილება და ტრენინგების ორგანიზება. ტრენინგები ტარდებოდა თბილისში, 6 ივლისიდან 5 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე. მეორე ეტაპზე თითოეული მონაწილისთვის გამოცხადდა მცირე საგრანტო კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა ტრენინგების საშუალებით მიღებული ცოდნის რეალიზებას პრაქტიკაში. გამარჯვებული პროექტების ხელმძღვანელმა საინიციატივო ჯგუფებმა თავიანთი პროექტები განახორციელეს წარმატებით. ბენეფიციართა რაოდენობა იყო ჯამში 175 სოციალურად დაუცველი. დევნილი სტატუსის მქონე ახალგაზრდა თბილისის მასშტაბით.

22. ა.(ა).ი.პ „მოდრავი გალერეა“, პროექტი - „მოდრავი გალერეა/მოდრავი იმიჯები“ (დაფინანსდა 19 278 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 57 ლარს)

პროექტის მიზანი იყო თანამედროვე ხელოვნების ხელმისაწვდომობისთვის ხელის შეწყობა საქართველოს რეგიონებში. პროექტის ფარგლებში წყალტუბოში ჩატარდა თანამედროვე ქართველი ხელოვანის თაბუნა ჭაბაშვილის სოლო გამოფენა „ყოველდღიურობის ქსოვილი“. გამოფენის ფარგლებში ჩატარდა ვორქშოპი. სადაც ხელოვანმა საკუთარ გამოცდილებაზე, ნამუშევრებსა და გამოფენის კონცეფციაზე ისაუბრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. პროექტი განხორციელდა წყალტუბოს ხელოვნების ფესტივალის ფარგლებში წყალტუბოს ხელოვნების ფესტივალის მხარდაჭერით. ასევე ჩატარდა ქართველი ხელოვანის ირაკლი ზუგანის სოლო გამოფენა „ლურჯი გვირაბი“ თელავსა და თბილისში. თელავში გამოფენა ჩატარდა მუსიკის საერთაშორისო ფესტივალისა და ღვინის ფესტივალის პარალელურად. თბილისში ჩატარებული იმავე გამოფენის თანადამფინანსებელი გახდა ისთ-ფონთი. ბენეფიციარები იყვნენ ადგილობრივი უნივერსიტეტის სტუდენტები (25 000-მდე სტუდენტი) და კულტურის სფეროში მოღვაწე ადგილობრივი პირები, ჯამში 20 000-მდე ადამიანი. დასაქმდა 50-მდე ადგილობრივი ახალგაზრდა.

23. ა.(ა).ი.პ „საზოგადოებრივი ორგანიზაცია „აისი“, პროექტი - „ახალგაზრდების სარეზერვო-სამაშველო მომზადება“ (დაფინანსდა 18 208 ლარის ოდენობით).

პროექტის მიზანი იყო 18-დან 25 წლამდე ახალგაზრდებისთვის სარეზერვო-სამაშველო საქმიანობის შესახებ ტრენინგ-კურსის ჩატარება. პროექტის ფარგლებში სწავლება განხორციელდა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კურსების ჩატარების გზით. სწავლება შედგებოდა 5 ძირითადი სასწავლო ეტაპისგან: 1. ტოპოგრაფია-ნავიგაციის კურსი (2 თეორიული და 2 პრაქტიკული მეცადინეობა); 2. პირველადი სამედიცინო დახმარების კურსი (4 თეორიული და 4 პრაქტიკული მეცადინეობა); 3. სამთო-სამაშველო კურსი (1 თეორიული და 4 პრაქტიკული სწავლება); 4. საინჟინრო-სამაშველო კურსი (1 თეორიული და 1 პრაქტიკული სწავლება); 5. "განგაშის ჩანთა" (Bug out Bag) – 1 თეორიული ლექცია. ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 30 მოხალისე.

24. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდული იდეების ცენტრი 2017“, პროექტი - „სოციალური ფოტო-ვიდეო სახელოსნო“ (დაფინანსდა 19 980 ლარის ოდენობით)

პროექტის მიზანი იყო სოციალური საწარმოს შექმნა, სადაც სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები შეძლებდნენ დამატებითი პროფესიების მიღებას და გაუზრდებოდათ სამომავლოდ დასაქმების პერსპექტივა. პროექტის ფარგლებში 12 ბენეფიციარი გადამზადდა სხვადასხვა მიმართულებით. მათ 5 თვის მანძილზე გაიარეს ინტენსიური სასწავლო კურსი ფოტოგრაფიის, დიზაინის და სატელევიზიო ხელოვნების მიმართულებით: სამონტაჟო, საოპერატორო და ხმის რეისურის კურსები. ასევე, პროექტის მომდინარეობის მცირე მონაკვეთში მოასწრეს პრაქტიკული სამუშაოების შესრულებაც. თითოეულ მათგანს შეუძლია დასახელებული პროფესიების სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობა ან კერძო შეკვეთების მიღება. პროექტის სამიზნე ჯგუფი იყო სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები. სულ 12 ბენეფიციარი. შერჩეული მონაწილეები ინტერესების მიხედვით გადანაწილდნენ ჯგუფებად. ისინი თანაბრად იყვნენ განაწილებულნი გენდერულ კრილში: 6 გოგონა და 6 ბიჭი.

25. ა.(ა).ი.პ "ახალგაზრდა ფინანსისტა და ეკონომისტა ასოციაცია". პროექტი - „Produce the Art (აწარმოე ხელოვნება)“ (დაფინანსდა 21 355 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 679 ლარს და 33 თეთრს)
პროექტის მიზანი იყო საიუველირო სოციალური საწარმოს ჩამოყალიბება, სადაც შეიქმნებოდა ხელოვნების ნიმუშები და ახალგაზრდები დაეუფლებოდნენ და შეისწავლიდნენ ძვირფას ლითონებზე ხელით მუშაობის და ტიხრული მინაწერის აქამდე მივიწყებულ ტექნოლოგიებს. პროექტის ფარგლებში შეირჩა საწარმოს ფართი და საწარმო აღიჭურვა სპეციალური ინვენტარით. განთავსდა განცხადება უფასო ტრენინგების შესახებ დასაქმების ონლაინ სააგენტოში, რომელიც ასევე გავრცელდა სოციალური ქსელის მეშვეობით. 40 აპლიკანტიდან შეირჩა 15 სხვადასხვა ასაკის, სქესის და პროფესიის ადამიანი, რომლებსაც აერთიანებდათ ინტერესი საიუველირო ხელოვნების მიმართ. პროექტის მიმდინარეობისას, საგარეულო ფილიგრანის, ქვის დამუშავების, ტიხრული და ვიტრაჟული მინაწერის სხვადასხვა ტექნიკების გამოყენებით, ოსტატების მიერ შეიქმნა ნამუშევრები, რომლებიც 2017 წლის თბილისობის გამოფენაზე იყო წარმოდგენილი ორი დღის განმავლობაში. პროექტის ბენეფიციარია 20-დან 29 წლამდე ასაკის 15 ახალგაზრდა (4 ბიჭი, 11 გოგონა).

26. ა.(ა).ი.პ „დემოკრატიის განვითარების სააგენტო“. პროექტი - „სოციალური საწარმო „სოციალური სამყარო““ (დაფინანსდა 19 980 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 218 ლარს და 29 თეთრს)
პროექტის მიზანი იყო ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლებაში მცხოვრები ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე მოქალაქეების პროფესიული გადამზადება, მათი დასაქმების მიზნით, სოციალური საწარმოს შექმნა, „დემოკრატიის განვითარების სააგენტოს“ ახალგაზრდების პროფესიული გადამზადება. პროექტის ფარგლებში მოხდა საწარმოს აღჭურვა/რემონტი და ბენეფიციარების პროფესიული გადამზადება. ჭრა-კერვის პროფესიული კურსი გაიარა სამმა ბენეფიციარმა. კურსი გრძელდებოდა 1 თვის განმავლობაში. სოციალური საწარმოსთვის ფართი შეირჩა ნაძალადევის, ჭყონდიდელის 87-ში. მოხდა ქსოვილებისა და სხვა ნედლეულის შექმნა. პროექტის ბენეფიციარია 4 ქალი (21-50 წლის), ასევე ორგანიზაციის 2 ახალგაზრდა წევრი, რომლებმაც გაიარეს პროფესიული გადამზადება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

27. ა.(ა).ი.პ „საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია“. პროექტი - „ტრადიციული რეწვა - სამცხე-ჯავახეთის ახალგაზრდების დასაქმებისა და რეგიონალური განვითარებისთვის“ (დაფინანსდა 18 770 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 406 ლარს)
პროექტი მიზნად ისახავდა წვლილი შეეტანა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ტრადიციული რეწვის სექტორში ახალგაზრდა თაობის ჩართვასა და მათ ადგილზე დასაქმებაში. პროექტი მოიცავდა ტრადიციული რეწვის პროდუქციის განვითარების ტრენინგებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და სოციალური მალაზია „ეთნოდიზაინის“ გახსნას ვარძიის ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე. სულ ჩატარდა 4 ტრენინგი შემდეგ საკითხებზე: ტრადიციული რეწვის ბიზნესი და მისი პოტენციალი; ბაზრის მოთხოვნები და ზოგადი ტენდენციები; ტრადიციული რეწვის პროდუქციის ასორტიმენტის გამრავალფეროვნება; ტრადიციული რეწვის პროდუქციის დიზაინის დივერსიფიკაცია; გაყიდვის არხები; კლიენტთან ურთიერთობა; ექსპონირების მეთოდები; პროდუქციის ბრენდინგი და წარდგენა; ფასთაწარმოქმნა. პროექტის ფარგლებში დაარსდა მეორე სოციალური მალაზია „ეთნოდიზაინი“ ვარძიის ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე. ტრენინგების შედეგად შექმნილი ახალი პროდუქცია ეტაპობრივად დამატება როგორც თბილისის, ასევე ვარძიის მალაზიას. ტრენინგი ჩატარდა 48 ადამიანს (18 მამაკაცი, 30 ქალბატონი). პროექტის ბენეფიციარები არიან სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდა ოსტატები, კერძოდ მარიამ ჟუჟუაძის სოფ. მუსხში არსებული მესხური ხალიჩა-ფარდაგის სახელოსნოს შეგირდები (3 ადამიანი), ახალციხის ახალგაზრდობის სახლის შეგირდები, ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრის შეგირდები (10 შეგირდი). ამჟამად ვარძიის მალაზიაში დასაქმებულია 2 სოფ. თმოგვში მცხოვრები ახალგაზრდა, რომლებიც უშუალოდ პროდუქციის რეალიზაციას აწარმოებენ.

28. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდების ინტერაციის, განათლების და კულტურული განვითარების ასოციაცია“, პროექტი - „ქალაქი ბიბლიოთეკა - საგანმანათლებლო ლიტერატურული ტურები“ (დაფინანსდა 19 165 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 446 ლარს და 59 თეთრს)
პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია და ახალგაზრდების ინტერესის გაზრდა ქართული კულტურის მიმართ. პროექტის ფარგლებში განხორციელდა 10 საგანმანათლებლო ლიტერატურული ტური. ტურის ძირითადი წამყვანი იყო ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე რატი ამაღლობელი. ტურს ჰყვება ასევე მოწვეული წამყვანებიც, ასევე ცნობილი მწერლები: გიორგი კეკელიძე, ლაშა ბულაძე, ვახტანგ ჯავახაძე, ზაზა აბზიანიძე, ივანე ამირხანაშვილი. ტურებზე დასწრება თავისუფალი იყო. წინმსწრებად იქმნებოდა თითოეული ტურის ფეისბუქ ღონისძიების გვერდი, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. არტარეას გადამღები ჯგუფი იღებდა თითოეულ ტურს და პოსტ პროდუქციის შემდგომ ვრცელდებოდა არტარეას სამაუწყებლო არხის, ინტერნეტ ტელევიზიისა და სოციალური მედიის საშუალებით. თითოეული ტურს საკმაოდ დიდი გამოხმაურება და ნახვა ჰქონდა სოციალურ მედიაში. პროექტის სამიზნე ჯგუფი ძირითადად იყო ახალგაზრდა თაობა, სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები. 10 ღონისძიებას ჯამში დაესწრო დაახლოებით 700-მდე ადამიანი. ღონისძიების ვიდეო ვერსიებს ჯამში აქვს 42 124 ნახვა.

29. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“, პროექტი - „დაბა წაღვერის ახალგაზრდული ცენტრი“ (დაფინანსდა 20 000 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 369 ლარს და 78 თეთრს)
პროექტის მიზანი იყო წაღვერდში ახალგაზრდული ცენტრის და მასთან არსებული ხის საამქროს შექმნა, რათა ახალგაზრდებში გაზრდილიყო ინტერესი სხვადასხვა გასართობი თუ შემეცნებითი ღონისძიებების მიმართ და პარალელურად საამქროში შეესწავლათ ხეზე მუშაობა. შეიქმნა ახალგაზრდული ცენტრი, რომელშიც ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის ტარდება შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები. რომლებიც იგეგმებოდა ბავშვებთან ერთად. ჩატარდა ტრენინგები, ფუნქციონირება დაიწყო თეატრალურმა წრემ. პროექტში ჩართულები არიან შშმ და სსმ პირები. აქტიურად ფუნქციონირებდა და გააგრძელებს ფუნქციონირებას ცენტრთან არსებული სახელოსნო. ბავშვებთან ერთად დაიგეგმა კონკრეტული აქტივობები, ტრენინგები, კინოჩვენებები, დასუფთავების აქცია, კარაოკე. ახალგაზრდული ცენტრის წევრებმა, წაღვერის ახალგაზრდული ცენტრის სახელით,

შეიტანეს პროექტი მუნიციპალიტეტში, რომლის ფარგლებშიც რეაბილიტირებული უნდა იყოს წაღვერში არსებული სტადიონი. პროექტის მიმდინარეობისას აქტიურად იყვნენ ჩართული დაბა წაღვერის და სოფელ ტბა-ს მუნიციპალური ერთეულების 150-მდე ახალგაზრდა. ცენტრის საორგანიზაციო ჯგუფში კი ჩართულია 20-მდე ახალგაზრდა, ასევე 5 შშმ და სსმ პირი. ხეზე მუშაობის შესწავლაზე დადის 10 ახალგაზრდა (ბიჭი). პროექტში სულ ჩართულია 100 ახალგაზრდა (14-დან 25 წლამდე).

30. ა.(ა).ი.პ „ხვამლის ამჟარი“, პროექტი - „ხვამლის მთის ახალგაზრდული ბანაკი“ (დაფინანსდა 20 000 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებული (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 40 ლარს)

პროექტის მიზანი იყო ხვამლის მთაზე სტაციონალური ბანაკის მოწყობა, ბანაკის ბაზაზე საგანმანათლებლო, ფსიქოსარეაბილიტაციო, კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი ტურისტული და რეგიონისათვის ტრადიციული მეთურეობის ცენტრების შექმნა. პროექტის ფარგლებში მოხდა მიწის არენდით გაფორმება, დაპროექტდა ბანაკი, შეირჩა მუშები, მოწესრიგდა საბანაკე ადგილი, შესყიდული იქნა აღჭურვილობა და ინვენტარი. დაპროექტდა ბანაკი და შეირჩა 4 ადგილობრივი მუშა. ხვამლის მთაზე მოეწყო არქეოლოგიური ბანაკი. ამენდა სველი წერტილები, გაკეთდა საშხარეულო, სველ წერტილებში შევიდა წყალი. ბენეფიციარებისთვის მოეწყო ლაშქრობები ხვამლის მთასა და უწყაშის ციხეზე. ჩატარდათ პირველადი დახმარების ტრენინგი. ლექციები ტარდებოდა არქეოლოგიასა და ისტორიამც. ბანაკის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს უცხოელმა მოხალისეებმაც. დასაქმდა 4 ადგილობრივი მუშა, რომელთაც მიიღეს შესაბამისი ანაზღაურება. პროექტის ბენეფიციარი იყო ჯამში 19 ახალგაზრდა (7- გოგონა, 12-ბიჭი), რომელთაც 5 იყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი.

31. ა.(ა).ი.პ „მომავალი იწყება დღეს“, პროექტი - „თანამედროვე საინფორმაციო სისტემა DAISY, უსინათლო და წაკითხვის პრობლემების მქონე ადამიანებისთვის“ (დაფინანსდა 21 280 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებული (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 500 ლარს 01 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო საქართველოში მსოფლიოში აღიარებული თანამედროვე ციფრული ტექნოლოგია DAISY ფორმატის დანერგვა და პოპულარიზაცია; DAISY ფორმატში წიგნების ადაპტირება; პირველი ქართული DAISY ბიბლიოთეკის შექმნა. პროექტის ფარგლებში მოხდა წამკითხველთა ცენტრების ამოქმედება, წიგნების აუდიო ვერსიების შექმნა; წიგნების აუდიო ვერსიების DAISY ფორმატში დამუშავება, ადაპტირება; შერჩეულ ბენეფიციარებთან, რომლებიც კარგად ფლობენ კომპიუტერის ხმოვან პროგრამას, წიგნის DAISY ფორმატში ჩაწერის თეორიული და პრაქტიკული სწავლების მეორე ეტაპი; DAISY ფორმატის ადვოკატირება, საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავება, მოლაპარაკებების წარმოება საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდის შექმნა და მედიასთან ურთიერთობა. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა უსინათლო ადამიანები, უსინათლო მოსწავლეებისა და სტუდენტების მშობლები, მეგობრები, განათლების სფეროს მუშაკები, ბიბლიოთეკების თანამშრომლები და ხელმძღვანელები. პირდაპირი ბენეფიციარია 80 შშმ პირი, ხოლო არაპირდაპირი - 260 ბენეფიციარი.

32. ა.(ა).ი.პ „ნიუ ჯ“, პროექტი - „რბილი განამავითარებელი სათამაშოების სამკერვალო საწარმო“ (დაფინანსდა 19 925 ლარის ოდენობით)

პროექტის მიზანი იყო შშმ პირების შერჩევა, დაქირავება და მათი ტრენინგი; პროდუქციის შექმნა (რბილი წიგნები და სათამაშოები), მათი სარეალიზაციო ქსელში გატანა. საბოლოო ჯამში მიზანი იყო ორგანიზაციის წარმოების მოწყობა იმდაგვარად, რომ მოხერხდეს ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა. პროექტის ფარგლებში მოხდა შშმ პირების ტრენინგი და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. შეიქმნა ქართული წარმოების პროდუქტი, რომელიც თავისუფლად უწევს კონკურენციას სხვა მსგავსი სახის იმპორტირებულ თუ ადგილობრივი წარმოების სხვა პროდუქციას, როგორც ფასის, ისე ხარისხის თვალსაზრისით. მოხდა სხვადასხვა საცდელი პროექტების დამზადება და თანამშრომელთა ტრენინგი, რაც გულისხმობს მათ მიერ სხვადასხვაგვარი რბილი სათამაშოების დამზადების მზაობას. დამზადდა 200 ცალი რბილი წიგნი, 3500 ცალი ტომარა, კუბიკების კომპლექტები და 10 ცალი რბილი სახლი. აღნიშნული პროდუქცია გასულია სარეალიზაციოდ და წარმოადგენილია სხვადასხვა გამოფენებზე. პროექტით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფი იყო შშმ პირები და დევნილთა სტატუსის მქონე პირები. დასაქმდა 9 ადამიანი, მათ შორის 7 შშმ პირი და 2 დევნილის სტატუსის მქონე ადამიანი.

33. ა.(ა).ი.პ „სტუდენტები უკეთესი განათლებისთვის“, პროექტი - „ელექტრონული ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა ახალგაზრდების ეფექტური და ხელმისაწვდომი განათლებისთვის“ (დაფინანსდა 18 770 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებული (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 2 268 ლარს 53 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო ქართველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის გაციფრება, შესაბამის პროგრამულ სისტემაში ჩართვა და ამით ხელმისაწვდომობის გაზრდა, როგორც ქართულ სამეცნიერო სივრცეში, ისე მის ფარგლებს გარეთ მყოფი მეცნიერ-მკვლევარების, სტუდენტებისა და ქართველოლოგიით დაინტერესებული პირებისთვის. პროექტის მიზანი იყო ასევე ბენეფიციარების მოძიება (ოპერატორის პოზიციაზე) რეგიონული მასშტაბით, მათთვის ტრენინგების ჩატარება და პროექტის განხორციელებაში ჩართვა. პროექტით გათვალისწინებული გეგმა განხორციელდა როგორც თბილისის, ასევე ბათუმის, თელავისა და ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტთა ოპერატორებად შერჩევისა და მათი აქტიური მუშაობის შედეგად. შეიქმნა სამეცნიერო ბიბლიოგრაფია, აღნიშნულ თითოეული ერთეული, დაერთო მეტამონაცემები და გამოადა ინტერნეტ სივრცეში განსათავსებლად. შეიქმნა შერჩეული სასწავლო მასალის/ტექსტების (500 ერთეული) ციფრული ვერსიები, რომლებიც განთავსდა ვებგვერდზე kartvelologybooks.tsu.ge და პროექტის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ფინანსური მხარდაჭერით შექმნილ ვებგვერდზე: unicum.Vible.solutions. ამასთან გაციფრებული ტექსტები განთავსდა არწილად ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეტაენის კორპუსშიც, რაც გულისხმობს აღნიშნული მასალის განალიზებას. პროექტის საბოლოო ბენეფიციარებსა და სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს უშუალოდ ელექტრონული ბიბლიოთეკის მომხმარებელთა ჯგუფი. ამ სივრცის საბოლოო ბენეფიციარები არიან ძირითადად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები. უცხოელი ქართველოლოგები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს საკითხით, სკოლის მოსწავლეები, შშმ პირები, რომლებიც ვერ ახერხებენ სრულად დაესწრონ საუნივერსიტეტო სწავლების პროცესს.

34. ა.(ა).ი.პ „უკეთესი მომავლისთვის“, პროექტი - „წეროვანის დევნილი ახალგაზრდების პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა“ (დაფინანსდა 19 960 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებული (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 96 ლარს)

პროექტის მიზანი იყო სოციალური საწარმო „იკორთას“ ეკონომიკური გაძლიერება და წეროვანში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდებისთვის პროფესიული გადამზადების კურსების ჩატარება ადგილზე დასაქმების ხელშეწყობის გზით. პროექტის ფარგლებში სახელოსნო აღიჭურვა აუცილებელი ტექნიკითა და ხელსაწყოებით, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა ინდივიდუალურ შეკვეთებზე მუშაობა. შემენილი ცოდნით საწარმოს ოთხმა თანამშრომელმა შექმნა ინდივიდუალური ნაკეთობების ხაზი. ტიხრული მინაქერის სასწავლო კურსის შედეგად აყვანილი 4 ახალი თანამშრომლის დახმარებით გაიზარდა იკორთას ტიხრული მინაქერის პროდუქციის რაოდენობა. პროექტის განხორციელების შედეგად პროდუქცია წარმოდგენილია ექვს ახალ მაღაზიაში (თბილისის ტურისტული უბანი; მცხეთის ტურისტული უბანი; ამერიკის საელჩო, ეთნოდიზაინი-ვარძიაში). პროექტის ფარგლებში შემენილ იქნა ორისის საბუნებლო პროგრამა. ორგანიზაციის ბუნებრივმა გაიარა პროგრამის შემსწავლელი კურსი, რის შედეგადაც ორგანიზაციის ფინანსური მხარე უფრო მეტად ორგანიზებული გახდა. პროექტის სამიზნე ჯგუფი იყო წეროვანის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდები. სასწავლო კურსი გაიარა 20-დან 30 წლამდე ასაკის 12-მა ახალგაზრდამ. მინაქერის სასწავლო კურსის 12 მონაწილე არის ქალი. პროექტის ბენეფიციარი იყო ასევე „იკორთას“ უკვე არსებული 6 თანამშრომელი, რომელთაც გაიარეს დამატებითი კურსი ტიხრულ მინაქერში. კურსს უძღვებოდა მოწვეული ოსტატი იოსებ ზანგალაძე.

35. ა.(ა).ი.პ „რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური განვითარების ფონდი - ახალგაზრდობა“, პროექტი - „მეტი ახალგაზრდობა მთას“ (დაფინანსდა 17 650 ლარის ოდენობით)

პროექტის მიზანი იყო სკოლადამთავრებული ახალგაზრდების ჩართვა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებულ აქტივობებში. პროექტი გულისხმობდა რაჭაში, საქართველოს მაღალმთიან რეგიონში ახალგაზრდული სახის ღონისძიებების ჩატარებას. პროექტის ფარგლებში მოხდა ველოსიპედების და ტურისტული ინვენტარის შექმნა (კარები, პარალონები); აყვანილ იქნა 2 გიდი-ინსტრუქტორი. მოეწყო საერთაშორისო ბანაკი ამბროლაურში; ნავით ჯომარდობა რიონზე, მოეწყო ლაშქრობა ამბროლაური-სხევა-ცხრაჯვარი-მრავალბალი. კემპინგი მოეწყო, როგორც ქამბროლაურში მდინარე კრიხულას სანაპიროსთან, ასევე შორის გასართობ ბაზაზე. მოეწყო ველოტური ამბროლაური-სადმელი-ამბროლაურის მიმართულებით. პროექტის ბენეფიციარი იყო 30 ახალგაზრდა (17-დან 28 წლამდე), პოლონელი და ქართველი ახალგაზრდები.

36. ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდები მთის განვითარებისთვის“. პროექტი - „გომარო-ზანავის თემში სპორტულ-კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“ (დაფინანსდა 18 839 ლარის და 85 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებული (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 737 ლარს 92 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო გომარო-ზანავის თემში სპორტულ-კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის სრულყოფილად დატვირთვა საგანმანათლებლო, სპორტული და კულტურული ღონისძიებებით. ადგილობრივი ახალგაზრდობისთვის პატარაობიდანვე შესაბამისი, სრულყოფილი გარემოს შექმნა საკუთარი უნარების განსვითარებლად, ხოლო მოზრდილებისთვის აუცილებელი მნიშვნელობის ლექცია-სემინარების ჩატარება, სამოქალაქო განათლების დონის გასაზრდელად. პროექტის ფარგლებში გარემონტდა და მოპირკეთდა სპორტულ-კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი. სისტემატიურად ტარდებოდა ჭიდაობის ვარჯიშები, ინგლისურის და უნარების გაკვეთილები. ასევე სამჯერ ჩატარდა სამოქალაქო განათლების ასამაღლებელი ლექცია სემინარები. პროექტის ბენეფიციარები იყვნენ ინგლისურის და უნარების გაკვეთილებზე და ჭიდაობის ვარჯიშებზე დამსწრე ბავშვები, სულ 97 ბავშვი. 9-დან 16 წლამდე ასაკის. სამოქალაქო განათლების ამაღლების მხრივ ჩატარდა ლექცია-სემინარები და საერთო დამსწრეთა რაოდენობა აღემატება 110 მონაწილეს.

37. ა.(ა).ი.პ „ყაზბეგის განვითარების ჯგუფი - ყაზბეგის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი“. პროექტი - „ყაზბეგის ახალგაზრდული მეწარმეობის სკოლა“ (დაფინანსდა 19 228 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებული (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 479 ლარს და 89 თეთრს)

პროექტი მიზნად ისახავდა ყაზბეგში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების მიცემას. პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის შეეთავაზებინა მოკლევადიანი სასწავლო კურსი ბიზნესის დაგეგმარების და განვითარების მიმართულებით ტურიზმის და სოფლის მეურნეობის სფეროში. პროექტის ფარგლებში შეიქმნა მეწარმეობის სასწავლო ცენტრი. პროექტში ჯამში ჩაერთო 54 ადამიანი. ექვსმა წარმატებულმა მოსწავლემ გაიარა სტაჟირება „დარიალ ჰესზე“ და „Rooms Hotel“-ში. ტრენინგები იყვნენ ადგილობრივი სპეციალისტები, რომელთაც გამოთქეს მზაობა კვლავ ითანამშრომლონ მსგავსი ტიპის საგანმანათლებლო პროექტში. პროექტის ფარგლებში შექმნილ იქნა ცენტრისთვის საჭირო აღჭურვილობა. შემუშავდა 4 საწყისი სასწავლო კურსი, ჩატარდა პროექტის თანამშრომლებისთვის კვალიფიკაციის ამაღლების კურსი, ასევე ფინანსების მართვის კურსი, პროექტის კოორდინატორისა და ფინანსური ასისტენტისთვის. ჩატარდა სამიზნე ახალგაზრდების ჯგუფთან საინფორმაციო შეხვედრები. მოხდა ინდივიდუალური გრაფიკების შედგენა სამიზნე ჯგუფებისთვის. პროექტის ბენეფიციარი იყო პროექტში ჩართული 54 ადამიანი (14-30 წელი), 21 ვაჟი და 33 ქალი.

38. ა.(ა).ი.პ „გაეძლიეროთ სოფლად ახალგაზრდები“, პროექტი - „მზეკო“ (დაფინანსდა 19 209 ლარის და 50 თეთრის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთვისებული (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 20 ლარს)

პროექტის მიზანი იყო მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარში სოციალური საწარმოს გახსნა, რომელიც შეძლებს პროდუქციის წარმოებას, მოწყვლადი ჯგუფის - დევნილის, სოციალურად დაუცველი ქალებისა და მრავალშვილიანი დედების დასაქმებას. პროექტის ფარგლებში, საწარმომ ააშუშავა ქსოვის, საოჯახო ტექსტილის კერვისა და ტრადიციული მეთოდით მატყლის დამუშავების წრები, სადაც ქალებმა, მათ შორის სკოლის მოსწავლეებმაც შეძლეს დაუფლებოდნენ ხელსაქმეს. პროექტის ფარგლებში შესყიდულ იქნა სამკერვალო ინვენტარი, ნედლეული საოჯახო ტექსტილის შესაკერად. შეიქმნა ტრადიციული რეწვის, ქსოვისა და კერვის ხაზი. მოსახლეობას საშუალება ჰქონდა ჩართულიყო და შეესწავლა ხელობა და დასაქმებულიყო საწარმოში. საწარმოს საქმიანობისა და პროდუქციის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა მესტიის სასტუმროებს. საწარმოში შეკერილი სასტუმროს ხაზის თეთრეული მიეწოდა რამდენიმე საოჯახო ტიპის სასტუმროს. საწარმოში დამზადებული პროდუქცია წარმოდგენილი იყო რამდენიმე გამოფენა-გაყიდვაზე. პროექტის ფარგლებში ორგანიზაციამ ჩაატარა ტრენინგი თემაზე: პროფესიული განათლება მომავალი წარმატებისთვის. მომხსენებელი იყო ევა წულუკიძე. ტრენინგს დაესწრო ფარის თემის სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდა. პროექტის ბენეფიციარია სოფელ ფარში მცხოვრები

25 ქალბატონი (7-45 წლის), რომლებიც 4 თვის განმავლობაში გადიოდნენ სწავლებას ხელსაქმის მიმართულებით. უშუალოდ პროექტის ფარგლებში საწარმოში დასაქმდა და ანაზღაურება მიიღო 12-მა ადამიანმა.

39. ა.ა.იპ „სამოქალაქო აქტივობების ცენტრი“. პროექტი - „პანკისში, თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში ტურიზმის განვითარებაში ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა“ (დაფინანსდა 19 850 ლარის ოდენობით. პროექტის განხორციელების შედეგად აუთისებელი (დაბრუნებული) თანხის ოდენობა შეადგენს 342 ლარს და 19 თეთრს)

პროექტის მიზანი იყო პანკისში, თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში ტურიზმის განვითარებაში ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა. პროექტის პირველ ეტაპზე საფეხმავლო გიდეების მოსამზადებელ თეორიულ და პრაქტიკულ კურსში მონაწილეობის მისაღებად ახალგაზრდების შერჩევის მიზნით გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც შეირჩა 15 ახალგაზრდა. შერჩეულმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს სასწავლო კურსში, რომლის მიზანიც იყო ახალგაზრდების მომზადება მთის საფეხმავლო გიდეებად. სასწავლო კურსის თეორიული ნაწილი ჩატარდა პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში. სამდღიანი თეორიული სწავლების განმავლობაში კურსის მონაწილეებთან მუშაობდა გამოცდილი გიდი გიორგი ნაზაიძე. გადამზადებულ გიდეებს გადაეცათ სალაშქრო აღჭურვილობა, რომელიც ორგანიზაციამ პროექტის ფარგლებში შეიძინა. კურსის დასრულების შემდეგ საფეხმავლო გიდეებმა ტრენერთან ერთად დაგეგმეს და განახორციელეს 9 დღიანი ლაშქრობა, რომლის მიზანიც პანკისის ხეობიდან თუშეთში გადასვლა და ახალი საფეხმავლო მარშრუტის მარკირება იყო. პროექტის ფარგლებში მომზადდა პანკისი-ტბატანა-ბორბალო-თუშეთის მარშრუტის დეტალური აღწერა, რომელიც ელექტრონული და ბეჭდური სახით გამოიცემა. პროექტის ბენეფიციარები არიან პანკისის ხეობაში, თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში მცხოვრები 15 ახალგაზრდა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საფეხმავლო გამოცდების მოსამზადებელ თეორიულ და პრაქტიკულ კურსში. მათი უმრავლესობა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მფლობელია ან მჭიდრო კავშირი აქვს მთასთან. პანკისის ხეობაში მცხოვრები ახალგაზრდები უკვე თანამშრომლობენ ადგილობრივ საოჯახო ტიპის სასტუმროებთან და მომავალი სეზონიდან საშუალება ექნებათ მათ სტუმრებს გაუწიონ გიდის მომსახურება.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარება და მხარდაჭერა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ინტეგრაცია საზოგადოებაში, სამოქალაქო და არაფორმალური განათლების და დასაქმების უნარიანობის გაზრდის ხელშეწყობა; ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების და თვითშეგნების ამაღლება, არაფორმალური განათლება; სხვადასხვა რეგიონების ახალგაზრდებს შორის ურთიერთობა, ჩართულობა და თანამშრომლობა;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვების და ახალგაზრდობის ხელშეწყობა(ტრენინგება, დასაქმება);
- სტუდენტი ახალგაზრდების მხარდაჭერა;
- შშმ პირთა ინტეგრაცია;
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობა და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების ხელშეწყობა;
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარება (კულტურა, გარემოს დაცვა, გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულობა);
- სოციალური საწარმოების ამოქმედება და ახალგაზრდების (მათ შორის შშმ ახალგაზრდების) დასაქმება;
- ახალგაზრდებში არაფორმალური განათლება; სხვადასხვა რეგიონების ახალგაზრდებს შორის ურთიერთობა, ჩართულობა და თანამშრომლობა;

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი


- სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის 2016 წელს დაფინანსებული ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მხარდამჭერი 51 პროექტის არანაკლებ 5000-მდე პირდაპირი ბენეფიციარი;

მიზნობრივი მაჩვენებელი

- სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის 2017 წელს დაფინანსებული ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მხარდამჭერი 39 პროექტის არანაკლებ 5300-მდე პირდაპირი ბენეფიციარი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

- სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის 2017 წელს დაფინანსებული ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მხარდამჭერი 39 პროექტის 5300 პირდაპირი და 20000-ზე მეტი არაპირდაპირი ბენეფიციარი; აღნიშნული მაჩვენებელი შეიცავს საგანმანათლებლო, სპორტულ პროექტებში და ასევე მაღალმთიან რაიონებში განხორციელებულ პროექტებში ჩართულ ახალგაზრდებს. ამასთანავე 2017 წელს დაფინანსებული პროექტების ფაგლებში დასაქმდა 32 ახალგაზრდა. სხვადასხვა პროექტებში ჩართული იყო 67 შშმ ახალგაზრდა.

ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველოს უფროსი  /მ. თუთბერიძე/

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2017 ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში 32 08 02 01

| პროგრამული კოდი | დასახელება | დამტკიცებული გეგმა | დაზუსტებული გეგმა | საკასო შესრულება | დაზუსტებული გეგმის შეფარდება დამტკიცებულ გეგმასთან (%) | საკასო შესრულების შეფარდება დაზუსტებულ გეგმასთან (%) | განმარტება იმ პროგრამულ კოდეზზე, რომელთა დამტკიცებულ და დაზუსტებულ მაჩვენებლებს შორის შესაბამობა აღემატება 30% | განმარტება იმ პროგრამულ კოდეზზე, რომელთა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შესაბამობა აღემატება 15% |
|-----------------|--|--------------------|-------------------|------------------|--|--|---|---|
| | | | | | (4/3) | (5/4) | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 32 08 02 01 | სსიპ – საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი | 695.0 | 1,099.5 | 1,099.0 | 158.20 | 99.96 | | |
| | ხარჯები | 690.0 | 1,098.5 | 1,098.1 | 159.20 | 99.96 | | |
| | შრომის ანაზღაურება | 240.0 | 233.6 | 233.6 | 97.32 | 100.00 | | |
| | საქონელი და მომსახურება | 150.0 | 121.9 | 121.4 | 81.23 | 99.66 | ახალგაზრდობის განვითარების მიზნით თანხა 28000 ლარი გადატანილი იყო სხვა ხარჯებში | |
| | სოციალური უზრუნველყოფა | | 6.4 | 6.4 | 2.68 | 100.00 | | |
| | სხვა ხარჯები | 300.0 | 736.7 | 736.6 | 245.55 | 100.00 | საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ახალგაზრდობის განვითარების მიზნით გამოყენებული 437000 ლარი | |
| | არაფინანსური აქტივები | 5.0 | 1.0 | 0.9 | 20.00 | 93.75 | ახალგაზრდობის განვითარების მიზნით თანხა 4000 ლარი გადატანილი იყო სხვა | |

ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველოს უფროსი

თ. თეთბერიძე

/მ. თეთბერიძე/

ინფორმაცია კაპიტალური პროექტების შესრულების შესახებ

ათას ლარებში

| პროგრამული კოდი | დასახელება | სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროექტის მთლიანი დაფინანსება | საანგარიშო პერიოდის წინა წლის ჩათვლით გაწეული საკასო ხარჯი (საანგარიშო პერიოდის გარდა) | საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული თანხა | საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება | შემდგომი წლების პროგნოზი | საკუთარი სახსრებიდან პროექტზე მთლიანად მიმართული თანხები, საანგარიშო პერიოდის ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | საკუთარი სახსრებიდან პროექტზე მისამართი თანხები, პროექტის დასრულებიდან ბოლომდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|-----------------|-----------------|--|--|---|--------------------------------------|--------------------------|--|---|
| | პროექტი №1 | | | | | | | |
| | ქვეპროექტი №1 | | | | | | | |
| | ქვეპროექტი №2 | | | | | | | |
| | ქვეპროექტი №... | | | | | | | |
| | პროექტი №2 | | | | | | | |
| | ქვეპროექტი №1 | | | | | | | |
| | ქვეპროექტი №2 | | | | | | | |
| | ქვეპროექტი №... | | | | | | | |

პროექტი №1 ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -----

ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველოს უფროსი *[Handwritten Signature]* /მ. თუთბერიძე/